საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

თამარ ონიანი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021	
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გოჩა აბუსერიძე?	
(დიახ)	არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
თამარ ონიანი

2021 წლის 17 ივნისი, თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად გოჩა აბუსერიძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო გოჩა აბუსერიძემ.

კანდიდატების შესახებ მოპოვებული წერილობითი და მათი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 27 მაისს შევაფასე პროცედურაში მონაწილე 33 კანდიდატი, მათ შორის - გოჩა აბუსერიძე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით. შედეგადაც მივიჩნიე, რომ გოჩა აბუსერიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას 100 ქულიდან მივანიჭე 93 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 9 კანდიდატი: გიორგი გოგიაშვილი, გოჩა აბუსერიძე, ლევან თევზაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი შავლიაშვილი, რევაზ ნადარაია, ბიძინა სტურუა, ეკა ზარნაძე და ლაშა ქოჩიაშვილი.

2021 წლის 17 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა მითითებული 9 კანდიდატის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით.

კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით გოჩა აბუსერიძე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებმაც მიიჩნიეს, რომ გოჩა აბუსერიძე

სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც მივიღე გადაწყვეტილება - წარედგინოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად.

თამარ ონიანი